ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიცია

2013 წლის სეზონზე შესრულებული სამუშაოების წინასწარული ანგარიში

ნოქალაქევი-თბილისი
2013

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2013 წლის სეზონზე სამუშაოები აწარმოა ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა მონაკვეთზე, A და B თხრილებზე 01.07-დან - 26.07-მდე (ტაბ. I.1).

ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და ბრიტანელი სპეციალისტები (დ. ლომიტაშვილი (ხელ-ი), ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ქებულაძე, ნ. მურღულია, ა. თვარაძე, მ. ბოკერია, ი. ქოლვინი, ბ. ნილი, ქ. გრანტი, ლ. ჯეიმსი, ა. რეიში). ასევე, სტუდენტები და მოხალისეები საქართველოდან, ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან და აშშ-დან.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ივლისის თვეში დაფიქსირებული უხვი ნალექების გამო, საველე სამუშაოები დაგეგმილი ოთხი კვირის ნაცვლად A თხრილზე მხოლოდ 2, ხოლო B თხრილზე 3 კვირას გაგრძელდა, რამაც ცხადია შეამცირა თხრილებზე წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მოცულობა. მაგალითისათვის, A თხრილზე გათხრების დაწყება 1 ივლისის ნაცვლად, მხოლოდ 17 ივლისს მოხერხდა (ტაბ. I.2). ძლიერი წვიმების გამო ექსპედიციამ წინასწარ დაგეგმილი სამუშაო განრიგი შეცვალა - დიდი დრო დაეთმო ტრეინინგებს ნიველირისა და კოორდინატთა სისტემების ხმარებაში, ოსტეოლოგიაში, კერამიკის ხაზვასა და პალეობოტანიკაში. ასევე, წვიმიან ამინდებში სტუდენტები და მოხალისეები ველებზე მოპოვებულ კერამიკას რეცხავდნენ.

A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად A თხრილზე გაგრძელდა ადრეანტიკური ხანის საწყისი პერიოდისა (ძვ.წ. VI ს.) და წინარეანტიკური ხანის დამამთავრებელი პერიოდის (ძვ.წ. VII ს.) კულტურული ფენების შეწავლა. აღნიშნული ფენები მოიცავდა სამოსახლოს. თხრილის მთელ ფართობზე ძირითადად აღნიშნული ორი პერიოდის (ძვ.წ. VI-IV და ძვ.წ. VIII-VII სს.) კერამიკული მასალა ამოდიოდა. თუმცა, წინა სეზონისაგან განსხვავებით აშკარად ჭარბობდა ძვ.წ. VIII-VII სს. კერამიკა (ტაბ. II.1).

სეზონის განმავლობაში თხრილში გამოვლინდა და აღინუსხა (ზოგიერთ შემთხვევაში ნაწილობრივ) შემდეგი ობიექტები:

1. ადრეანტიკური ხანის ნაგებობის საძირკვლის ნაშთი (306);
2. ადრეანტიკური ან წინარეანტიკური ხანის ნაგებობის საძირკვლის ნაშთი (308) - ნაწილობრივ შესწავლილი (ტაბ. II.2);

3. ადრეატიკურდან წინარეანტიკურ ხანაზე გარდამავალი ნახევრადსტერილური ფენა (294);
4. წინა წლებში გამოვლინილი, სავარაუდოდ, წინარეანტიკური ხანის საწყისი პერიოდის კულტურული ფენა (272);

(306)-ე ნაგებობის საძირკველი თხრილის სამხ-დას კუთხეში გამოვლინდა და შეიცავს ჩრდ-სამხ ხაზზე დალაგებული 8 ქვას (საერთო სიგრძე - 1.80 მ.), რომელზეც ხის ძელებისაგან გამართული კედელი უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, რომელიც, თავის მხრივ, გამოუწვავი თიხით იქნებოდა შელესილი. საძირკვლის ქვედა ხაზი წინა სეზონზე გამოვლენილი ადრეანტიკური ხანით დათარიღებული (280)-ე ნაგებობის დონეზეა და შესაბამისად ეს ორი ნაგებობა თანადროული უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ აღნიშნული ნაგებობის ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის კედლებისც თხრილის სამხრეთისა და დასავლეთის კიდეების გარეთ გადის და მისი სრულად შესწავლა ამ ეტაპზე შეუძლებელია (ტაბ. II.2).

(308)-ე ნაგებობაც თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა (306)-ე ნაგებობის აღმოსავლეთით, მის პარალელურად, თუმცა ქვედა დონეზე. ის სიგრძეში 3.5 მ-ია და შედგება 31 კირქვისა და რიყის ქვისაგან შედგება. საინტერესოა, რომ პირველად A თხრილში დაფიქსირდა ნაგებობის საძირკვლისათვის ამოჭრილი ბალავერი [307], (309). ეს ნაგებობაც ხის ძელებისა და თიხის ნალესობისაგან შედგებოდა. თუმცა, სამწუხაროდ მისი უმეტესი ნაწილი თხრილის კიდეების გარეთ გადის. აღნიშნული ნაგებობის შეწავლა მომავალ სეზონზე გაგრძელდება და დამატებით ინფორმაცია მისი წარმომავლობის და თარიღის შესახებ შემდეგ შეიძლება მოვიპოვოთ. ამ ეტაპზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ელინისტური და ადრეანტიკური ხანის ნაგებობებისაგან განსხვავებით ამ ნაგებობას აღმოაჩნდა საძირკვლისათვის გაჭრილი ბალავერი და გარდა ამისა, სხვებისაგან განსხვავებით მისი საძირკვლის მოწყობისათვის საკმაოდ ბევრი ბრტყელი რიყის ქვაა გამოყენებული, რაც ამავე ტიპის, სხვა ნაგებობებისათვის უჩვეულოა. შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ ნაგებობა წინარეანტიკური ხანისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბალავერი შესაძლოა სხვა ნაგებობებსაც ჰქონოდა, თუმცა ნოქალაქევის ნაქალაქარზე არსებული მიწის სტრუქტურის გამო, მათი გამოვლენა ვერ მოხერხდა (ტაბ. II.2).

(294)-ე ფენა თხრილის ჩრდილოეთ ნახევარზე წინა სეზონზე გამოვლინდა. მასში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალებით ის დათარიღდა ადრეანტიკური ხანით. საანგარიშო სეზონზე აღნიშნულ ფენაში იკლო არქეოლოგიური მასალის ამოსვლამ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ფაქტიურად ადრეანტიკურსა და წინარეანტიკურ ხანას შორის არსებულ ნახევრადსტერილურ ფენას წარმოადგენს, თუმცა მისი გამიჯვნა (294)-ე ფენისაგან, ისევდაისევ მიწის სტრუქტურის გამო შეუძლებელია.

(272)-ე ფენა თხრილის აღმოსავლეთი კიდის მთელ გაგრძელებაზე ვრცელდება. ფენა დიდი რაოდენობით ნამტვრევ კირქვებსა და რიყის ქვებს შეიცავს. აღნიშულ ფენაში ჯერ კიდევ 2011 წლის სეზონზე ამოსვლა დაიწყო ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული ორმხრივპროტომიანი, ზოომორფული კერამიკული ფიგურების ფრაგმენტებმა. 2012 წლის სეზონზე კი ერთ ათეულამდე ფრაგმენტი აღმოჩნდა, მათ შორის ერთი, ტორსისა და თავის მოზრდილი ნაწილი. საანგარიშო წელს აღნიშნულ ფენაში სულ 2 ათეულამდე ფრაგმენტი გამოვლინდა - ფეხების, დრუნჩის, ყურის (რქის), ღრუ და მასიური ტორსის. განსაკუთრებით გამოსარჩევია ერთიანად შემორჩენილი ტორსის, თავისა და ფეხების ფრაგმენტები (## 2, 3, 4, 12) – ტაბ. III. საფიქრებელია, რომ მომავალ სეზონზე თხრილის მთელ ფართობზე, განსაკუთრებით კი, (272)-ე ფენის ქვედა დონეზე ზოომორფული ფიგურების ფრაგმენტები კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით აღმოჩნდება.

გათხრების დასრულების შემდეგ თხრილს გადავაფარეთ ცელოფანი, რომელიც დავფარეთ მიწის თხელი ფენით მომავალ სეზონამდე.

B თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

B თხრილზე წლევანდელ სეზონზე გაგრძელდა მომიჯნავე ჩრდილოეთ ფერდობიდან ჩამოტანილი ნაყარი ფენების აღება (423, 429, 444) მასალა სულ უფრო და უფრო ნაკლები ინტენსიობით ამოდიოდა ამიტომ გადავწყვიტეთ ორი საცდელი შურფის გაკეთება. პირველი საცდელი შურფი გაიჭრა თხრილის სამხრეთ-დასავლეთ (2მx4.2მ) ხოლო მეორე კი მის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში(2მx4.მ). პირველ საცდელ შურფში გათხრების დროს ინტენსიურად ამოდიოდა კლდის ფლეთილი სხვადასხვა ზომის ქვის ფენა , რომელიც უსისტემოდ არის ჩაყრილი. რელიეფიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია წარმოადგენდეს B თხრილის სამხრეთ ნაწილში(სამაროვნის ტერიტორიაზე) 2011 წელს გამოვლენილი (413) ნაყარი ქვების ფენის გაგრძელებას. გათხრების დროს აღმოჩნდა მცირე რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ნატეხები.

მეორე საცდელი შურფში 0.45 მ. სიღრმეზე ჩავაღრმავეთ. პირველ 10 სმ სიღრმემდე გამოვლინდა მოშავო ფერის მცირე რაოდენობით მასალის შემცველი თიხიანი მიწა, ხოლო მის ქვეშ კი სრულიად სტერილური მოყავისფრო ფენა (ყამირი).

თხრილის მოსწორებისას სამხრეთ კიდესთან სტერილურ ფენაში გამოვლინდა წრიული ფორმის მოშავო-მონაცრისფრო ფერის ლაქა. რაც ყამირში ჩაჭრილ ორმოს წარმოადგენს, მასში სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა იმპორტული კერამიკის გვერდის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ფირფიტა და ბრინჯაოს სადგისი. გათხრილია მხოლოდ მისი ნახევარი ხოლო მეორე ნახევრის გათხრა მომავალი სეზონისთვის გადაიდო.

გამომდინარე იქიდან რომ ჩასულები ვართ სტერილურ ფენამდე სეზონის ბოლოს ცელოფნით დაიფარა მხოლოდ აღნიშნული ორმო.

ტაბულების აღწერილობა

I.1 Google Earth სურათი - თხრილების განლაგება
I.2 წვიმის წყლით დაფარული A თხრილის ფსკერი, გათხრების დაწყებამდე
II.1 A თხრილი გათხრების დაწყებისას
II.2 (306) და (308) ნაგებობების საძირკვლის ნაშთები
III.1 (272)-ე ფენაში გამოვლენილი ზოომორფული ქანდაკებები (## 2, 3, 4)
III.2 (272)-ე ფენაში გამოვლენილი ზოომორფული ქანდაკება (## 12)
IV.1 B თხრილი გათხრების დაწყებამდე
IV.2 # 1 საცდელი შურფი, ხედი ჩრდილოეთიდან
V.1 # 2 საცდელი შურფი, ხედი სამხრეთიდან
V.2 სტერილიური (ყამირი) ფენა # 2 საცდელი შურფის ჩრდილოეთ და დასავლეთ ჭრილებში
VI.1 ორმო (463), [464] ამოსუფთავებამდე
VI.2 ორმო (463), [464] ამოსუფთავების შემდეგ

1

2

1

2

1

2

1

2

V

1

2

VI

1

2